

შპს მედ პროჯექტ

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. ძირითადი საშუალებები	12
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	14
8. სესხები	14
9. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	14
10. საკუთარი კაპიტალი.....	14
11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
13. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	15
14. სხვა შემოსავლები	16
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადასვარიშებული)	31-12-18 (გადასვარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	158,783	62,040	199,196
სავაჭრო მოთხოვნები	5	880,025	966,052	832,880
მარაგები		61,219	56,897	86,164
სხვა მიმდინარე აქტივები		3,617	22,405	38,861
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,103,644	1,107,394	1,157,101
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	984,062	1,145,324	996,709
არამატერიალური აქტივები		768	1,211	1,878
ინვესტიციები		-	-	136,625
სულ გრძელვადიანი აქტივები		984,830	1,146,535	1,135,212
მთლიანი აქტივები		2,088,474	2,253,929	2,292,313
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	97,006	183,558	161,942
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6,220	26,924	41,468
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		103,226	210,482	203,410
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	8	108,472	430,011	554,892
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	9	-	85,000	85,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		108,472	515,011	639,892
მთლიანი ვალდებულებები		211,698	725,493	843,302
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		341,000	341,000	341,000
გაუნაწილებელი მოგება		1,535,776	1,187,436	1,108,011
სულ საკუთარი კაპიტალი	10	1,876,776	1,528,436	1,449,011
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,088,474	2,253,929	2,292,313

დირექტორი




ალექსი ჩინჩალაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)	31-12-18 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	158,783	62,040	199,196
სავაჭრო მოთხოვნები	5	880,025	966,052	832,880
მარაგები		61,219	56,897	86,164
სხვა მიმდინარე აქტივები		3,617	22,405	38,861
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,103,644	1,107,394	1,157,101
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	984,062	1,145,324	996,709
არამატერიალური აქტივები		768	1,211	1,878
ინვესტიციები		-	-	136,625
სულ გრძელვადიანი აქტივები		984,830	1,146,535	1,135,212
მთლიანი აქტივები		2,088,474	2,253,929	2,292,313
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	97,006	183,558	161,942
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6,220	26,924	41,468
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		103,226	210,482	203,410
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	8	108,472	430,011	554,892
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	9	-	85,000	85,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		108,472	515,011	639,892
მთლიანი ვალდებულებები		211,698	725,493	843,302
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		341,000	341,000	341,000
გაუნაწილებელი მოგება		1,535,776	1,187,436	1,108,011
სულ საკუთარი კაპიტალი	10	1,876,776	1,528,436	1,449,011
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,088,474	2,253,929	2,292,313

დირექტორი -----

ალექსი ჩინჩალაძე

მოგება-ზარალის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	1,822,398	1,645,830
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(740,393)	(790,143)
საერთო მოგება		1,082,005	855,687
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(189,473)	(252,616)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(268,870)	(259,773)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(183,083)	(158,655)
სხვა შემოსავლები	14	161,824	37,830
სხვა ხარჯები		(660)	(9,416)
მოგება პროცენტებამდე და საკუროსო სხვაობამდე		601,743	213,057
საპროცენტო შემოსავალი		-	1,883
საპროცენტო ხარჯი		(49,466)	(39,115)
მოგება საკუროსო სხვაობიდან		2,351	3,598
მოგება დაბეგვრამდე		554,628	179,423
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		554,628	179,423

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწყისდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)		341,000	1,108,011	1,449,011
წმინდა მოგება		-	179,423	179,423
დივიდენდის გატანა	10	-	(99,998)	(99,998)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	10	341,000	1,187,436	1,528,436
წმინდა მოგება		-	554,628	554,628
დივიდენდის გატანა	10	-	(206,288)	(206,288)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	10	341,000	1,535,776	1,876,776

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2020	2019
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება დაბეგვრამდე	554,628	179,423
კორექტირებები:		
საპროცენტო შემოსავალი	-	(1,883)
საპროცენტო ხარჯი	49,466	39,115
მოგება საკურსო სხვაობიდან	(2,351)	(3,598)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	183,083	158,655
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(59,799)	-
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში	86,027	(133,172)
ცვლილება მარაგებში	(4,322)	29,267
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	18,788	16,456
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში	(86,552)	21,616
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	(20,704)	(14,544)
ცვლილება სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში	(85,000)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	633,264	291,335
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალების შეძენა	(138,314)	(306,603)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	176,735	-
ინვესტიციების შემცირება	-	136,625
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	38,421	(169,978)
ფინანსური საქმიანობა		
პროცენტის მიღება	-	1,883
პროცენტის გადახდა	(50,659)	(39,411)
სესხის დაფარვა	(320,346)	(124,585)
დივიდენდის გადახდა	(206,288)	(99,998)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(577,293)	(262,111)
სავალუტო კურსის ეფექტი*	2,351	3,598
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	96,743	(137,156)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	62,040	199,196
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	158,783	62,040

* სავალუტო კურსის ეფექტი ძირითადად განპირობებულია უცხოურ ვალუტაში არსებული საბანკო ანგარიშების სავალუტო გადაფასებით

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მედ პროჯექტ დაფუძნდა 2011 წელს. კომპანიის მისამართია: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N107, ბ18. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 400028233

კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: გიორგი კვირიკაძე (პ/ნ 01008013283) – 27%, ზვიად კვირიკაძე (პ/ნ 01008011931) – 10%, თეიმურაზ არონია (პ/ნ 65002012439) – 10.53%, მირიან ჭეიშვილი (53001013279) – 10.53%, ნათელა ცირამუა (პ/ნ 01015018378) – 21.5% და ნანა ზუროშვილი (01033004882) – 20.44%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამედიცინო ჟანგბადით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი: ალექსი ჩინჩალაძე (პ/ნ 01006005969).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. კომპანიის საქმიანობის არსიდან გამომდინარე, COVID-19-ით გამოწვეულ ფინანსურ კრიზისს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე და ფინანსურ შედეგებზე. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2020 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	63,741	199,193
სავაჭრო მოთხოვნები	967,444	832,879
გადახდილი ავანსები	29,088	85,680
მარაგები	31,778	54,834
სხვა მიმდინარე აქტივები	48,086	29,908
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,140,137	1,202,494
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,175,311	1,031,357
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	136,625
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,175,311	1,167,982
მთლიანი აქტივები	2,315,448	2,370,476
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	214,012	215,357
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	568	12,500
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,903	1,903
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	216,483	229,760
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	430,011	554,892
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	85,000	85,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	515,011	639,892
მთლიანი ვალდებულებები	731,494	869,652
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	341,000	341,000
გაუნაწილებელი მოგება	1,242,954	1,159,824
სულ საკუთარი კაპიტალი	1,583,954	1,500,824
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	2,315,448	2,370,476

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,645,830	1,805,953
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(797,479)	(727,880)
საერთო მოგება	848,351	1,078,073
მიწოდების ხარჯები	(19,528)	(17,851)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(483,506)	(472,650)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(158,655)	(91,568)
სხვა ნეტო შემოსავალი და ხარჯი	76,989	(68,630)
მოგება პროცენტებამდე და საკუროსო სხვაობამდე	263,651	427,374
საპროცენტო ხარჯი	(86,361)	(83,027)
მოგება საკუროსო სხვაობიდან	5,838	2,452
მოგება დაბეგვრამდე	183,128	346,799
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	183,128	346,799

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	2020 წლის 31 დეკემბერი
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	2019 წლის 31 დეკემბერი

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
მანქანა-დანადგარები	3-10
სატრანსპორტო საშუალებები	3-5
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 მარაგები.

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

3.5 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული

ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. კომპანია არ ინახავს ფულს საღაროში.

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება მოთხოვნებისგან ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე კომპანიების მიმართ. მათ შორისაა 40-ზე მეტი ქართული ჰოსპიტალი.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

	31-12-20	31-12-19
მოთხოვნები	901,829	987,856
გაუფასურების რეზერვი	(21,804)	(21,804)
წმინდა მოთხოვნები	880,025	966,052

6. ძირითადი საშუალებები

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	რეალიზაცია	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწა	85,000	-	-	85,000
შენობა ნაგებობები	574,879	3,200	-	578,079
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,465	-	-	18,465
მანქანა-დანადგარები	904,701	131,203	(135,235)	900,669
სატრანსპორტო საშუალებები	201,580	1,400	-	202,980
სხვა ძირითადი საშუალებები	26,502	2,511	-	29,013
სულ	1,811,127	138,314	(135,235)	1,814,206

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	რეალიზაცია	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა ნაგებობები	31,881	38,325	-	70,206
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,465	-	-	18,465
მანქანა-დანადგარები	416,543	130,381	(18,299)	528,625
სატრანსპორტო საშუალებები	182,371	7,011	-	189,382
სხვა ძირითადი საშუალებები	16,543	6,923	-	23,466
სულ	665,803	182,640	(18,299)	830,144

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	გადატანა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწა	85,000	-	-	85,000
დაუმთავრებელი მშენებლობა	501,479	73,400	(574,879)	-
შენობა ნაგებობები	-	-	574,879	574,879
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,465	-	-	18,465
მანქანა-დანადგარები	675,227	229,474	-	904,701
სატრანსპორტო საშუალებები	201,055	525	-	201,580
სხვა ძირითადი საშუალებები	23,298	3,204	-	26,502
სულ	1,504,524	306,603	-	1,811,127

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	გადატანა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა ნაგებობები	-	31,881	-	31,881
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,435	30	-	18,465
მანქანა-დანადგარები	306,097	110,446	-	416,543
სატრანსპორტო საშუალებები	173,846	8,525	-	182,371
სხვა ძირითადი საშუალებები	9,437	7,106	-	16,543
სულ	507,815	157,988	-	665,803

7. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-20	31-12-19
ვალდებულება ჟანგბადის მომწოდებელთა მიმართ	47,383	166,192
სხვა	49,623	17,366
სულ	97,006	183,558

8. სესხები

კომპანიას მიღებული აქვს სესხი ქართული კომერციული ბანკისგან ქარხნის მშენებლობის მიზნობრივით. სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთია 13% .

9. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიას მიღებული ჰქონდა 85,000 ლარის ღირებულების სახელმწიფო გრანტი გარკვეული წინაპირობებით, მათ შორის ინვესტიციის განხორციელებისა და ქარხნის მშენებლობის წინაპირობით. 2020 წელს კომპანიამ შეასრულა ყველა წინაპირობა და შედეგად გამოიმუშავა გრანტი, რომლის აღიარებაც მოხდა სხვა შემოსავლებში.

10. საკუთარი კაპიტალი

2019 წელს განხორციელდა დივიდენდის გატანა 99,998 ლარის ოდენობით, ხოლო 2020 წელს 206,288 ლარის ოდენობით.

11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო ჟანგბადის წარმოება, რომლის რეალიზაციაც, ძირითადად, ხდება საქართველოში მოღვაწე ჰოსპიტლებსა და კლინიკებზე.

2020 და 2019 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	31-12-20	31-12-19
შემოსავალი	1,822,398	1,645,830
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, საიდანაც:	(740,393)	(790,143)
შემდენილი მზა მასალები	(430,260)	(431,720)
წარმოების პროცესის შედეგად მიღებული მარაგები	(310,133)	(358,423)
საერთო მოგება	1,082,005	855,687

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-20	31-12-19
საწვავის ხარჯი	71,813	97,673
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	47,411	32,735
საკონსულტაციო ხარჯები	18,300	26,926
დაზღვევის ხარჯები	14,325	14,717
სამეურნეო ხარჯები	12,702	14,841
იჯარის ხარჯი	10,278	17,412
სხვა	14,644	48,312
სულ	189,473	252,616

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-20	31-12-19
სახელფასო ხარჯი	232,194	248,309
პენსია და სხვა სარგებელი	36,676	11,464
სულ	268,870	259,773

14. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

სხვა შემოსავლები	31-12-20	31-12-19
სახელმწიფო გრანტიდან მიღებული შემოსავალი	85,000	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	59,799	-
სხვა	17,025	37,830
სულ	161,824	37,830

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 70,773 ლარი, ხოლო 2019 წელს 49,183 ლარი.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.